

მაკა ქორიძე

FH JOANNEUM, University of Applied Sciences, Austria

კავკასიის ბიზნესის სკოლა

„კავკასიის უნივერსიტეტში ჩაბარების ერთ-ერთი მიზეზი იყო ერაზმუსის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღების სურვილი. შესაბამისად, შესაძლებლობის გამოჩენისთანავე მივიღე წასვლის გადაწყვეტილება და გავემგზავრე ავსტრიაში, გრაცში. რა თქმა უნდა, თავიდანვე გააზრებული მქონდა რომ წინ, აქამდე ჩემთვის უცნობი გამოწვევები შემხვედებოდა, განსხვავებული ცხოვრების სტილისა და სწავლების მეთოდებიდან გამომდინარე. ჩასვლისთანავე მოვიხიბლე ამ პატარა, საუნივერსიტეტო ქალაქით, ხოლო მიმდებმა უნივერსიტეტმა მოლოდინს გადააჭარბა.

სწავლის სისტემა განსხვავებული იყო ჩვენი უნივერსიტეტისგან, თუმცა არ იყო რთული და საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. ლექტორები, რომლებიც ძირითადად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან იყვნენ მოწვეულნი, აქტიურად გვიზიარებდნენ თავიანთ პროფესიულ გამოცდილებას, გვთავაზობდნენ ძალიან საინტერესო და ინტერაქტიულ ლექციებსა და ჯგუფურ აქტივობებს იმისათვის, რომ დავემეგობრებულიყავით ჯგუფელებთან და ერთმანეთისთვის გაგვეცნო ჩვენი ქვეყნის კულტურა და ცხოვრების წესი. გრაცში გატარებული დროის განმავლობაში, შევიძინე ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც მომავალში დამეხმარება პროფესიულ განვითარებაში. ეს ნამდვილად იყო ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილება ჩემს ცხოვრებაში და ვთვლი, რომ სტუდენტებმა შესაძლებლობის გამოჩენისთანავე უნდა მიიღონ მონაწილეობა ამ პროგრამაში.“